აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის სტანდარტი

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის №04 დადგენილებით

შინაარსი

თავი 1. ზოგადი დებულებანი 3

მუხლი 1. ზოგადი დებულებები..... 3

მუხლი 2. სტანდარტის მიზანი 3

მუხლი 3. სტანდარტის მოქმედების სფერო 4

მუხლი 4. აკადემიური თავისუფლება 4

თავი II. კვლევის ეთიკის განმსაზღვრელი კრიტერიუმები და სახელმძღვანელო პრინციპები.....4

მუხლი 5. კვლევის ეთიკის განმსაზღვრელი კრიტერიუმები 5

მუხლი 6. კვლევის ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპები 10

მუხლი 7. კვლევის ეთიკის სტანდარტები 10

მუხლი 8. ეთიკური პრინციპების დაცვის ვალდებულება..... 10

მუხლი 9. კვლევის მონაწილეთა მოწვევასთან დაკავშირებული ღონისძიებები 10

მუხლი 10. ავტონომიურობის პრინციპი 10

მუხლი 11. სარგებლიანობისა და ზიანის მიუყენებლობის პრინციპი 10

მუხლი 12. სამართლიანობის პრინციპი 10

მუხლი 13. ინფორმირებული თანხმობა 10

მუხლი 14. კვლევის მონაწილეთა დაცვა ზიანის მიყენებისგან 10

მუხლი 15. კვლევის მონაწილეთა კონფიდენციალობის დაცვა 10

თავი III. კვლევის ეთიკის კომიტეტი

მუხლი 16. კვლევის ეთიკის კომიტეტი

მუხლი 17. კვლევის ეთიკის კომიტეტის როლი და საქმიანობა კვლევის პროცესში

მუხლი 18. კვლევის ეთიკის კომიტეტის დამოუკიდებლობა

მუხლი 19. კვლევის ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა

მუხლი 20. კვლევის ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე

მუხლი 21. კვლევის ეთიკის კომიტეტის მდივანი

მუხლი 21. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრების საწყისი და უწყვეტი მომზადება

მუხლი 22. კონფიდენციალურობა

მუხლი 23. კვლევის ეთიკის კომიტეტის ანგარიშვალდებულება

მუხლი 24. კვლევის ეთიკის კომიტეტის საქმიანობის რეგლამენტი

მუხლი 25. კვლევის ეთიკის კომიტეტის სხდომები

მუხლი 26. კვლევის ეთიკის კომიტეტის დოკუმენტების დაარქივება

თავი IV. კვლევის პროექტის შეფასება კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ

მუხლი 27. განაცხადის წარდგენა

მუხლი 28. კვლევის ეთიკის კომიტეტის როლი კვლევის დაწყებამდე

მუხლი 29. კვლევის ეთიკის კომიტეტისათვის წარსადგენი ინფორმაცია

მუხლი 30. პროექტის აღწერა

მუხლი 31. ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმები

მუხლი 32. კვლევის პროექტის შეფასება კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ

მუხლი 33. არასათანადო ზეგავლენის შესაძლებლობა

მუხლი 34. თანხმობის მიღების პროცედურები და ფარგლები

მუხლი 35. კონფიდენციალურობა და ინფორმაციის მიღების უფლება - მონაცემთა დაცვა

მუხლი 36. ცოდნის უფლება – არცოდნის უფლება

მუხლი 37. გარემოებანი, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი

მუხლი 38. კვლევის ეთიკის კომიტეტის როლი კვლევის პროცესში

მუხლი 39. კვლევის ეთიკის კომიტეტის ინფორმირება

მუხლი 40. ახალი ინფორმაცია და კვლევის მონაწილეთა დაცვა

მუხლი 41. კვლევის ეთიკის კომიტეტის როლი კვლევის დასრულების შემდეგ

მუხლი 42. კვლევის შედეგების ხელმისაწვდომობა

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 43. სტანდარტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) აღიარებს და იცავს კვლევის ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებს. უნივერსიტეტი, საკუთარი მისიის შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში კვლევის ეთიკის პრინციპის გაცნობიერებასა და სათანადო ეთიკური ქცევის წესის დამკვიდრებას.
2. კვლევის ეთიკის სტანდარტი (შემდგომში - სტანდარტი) შემუშავებულია უნივერსიტეტის მისიის, დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. სტანდარტის მიზანი

1. სტანდარტის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში კვლევის ობიექტურ განხორციელებას, სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის განვითარებას, აკადემიურ თავისუფლებას და მიუკერძოებლობას, საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების დანერგვას და დამკვიდრებას, ასევე საერთაშორისო დონის ნაშრომების გამოქვეყნებას და რეცენზირებას.
2. სტანდარტის მიზანია ასევე კვლევის მონაწილეების ღირსების, უფლებების, უსაფრთხოების და კეთილდღეობის დაცვა.
3. სტანდარტი ემყარება და იცავს აკადემიური თავისუფლების კონსტიტუციურ პრინციპს და უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მაღალი ეთიკური სტანდარტის დანერგვას.
4. სტანდარტი განსაზღვრავს კვლევის პროცესში კვლევის ეთიკის პრინციპებს, ასევე კვლევის ეთიკის კომიტეტის სტატუსსა და უფლებამოსილებას.
5. კვლევის ეთიკა არის მორალური წესების და პროფესიული კოდების ერთობლიობა, რომლითაც მკვლევარები ხელმძღვანელობენ სოციოლოგიურ კვლევაში და რომელიც ყურადღებას ამახვილებს კონფიდენციალობის დაცვაზე ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის, წარდგენის და პუბლიკაციის პროცესში. ამას თან ახლავს კვლევის ობიექტის უფლება უარი თქვას მონაცემების მიწოდებასა თუ პირადი აზრის გამოთქმაზე.

მუხლი 3. სტანდარტის მოქმედების სფერო

წინამდებარე სტანდარტი მოქმედება ვრცელდება:

ა. უნივერსიტეტში დასაქმებულ პერსონალზე (შემდგომ „პერსონალი“), რომლებიც საკუთარი სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში უფლებამოსილნი არიან განახორციელონ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტის შექმნა, გასაჯაროება ან/და გამოქვეყნება;

ბ. სტუდენტებზე, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უფლებამოსილნი არიან განახორციელონ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტის შექმნა, გასაჯაროება ან/და გამოქვეყნება.

მუხლი 4. აკადემიური თავისუფლება

1. აკადემიური თავისუფლება უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა. უნივერსიტეტი აღიარებს და იცავს აკადემიური თავისუფლების კონსტიტუციურ პრინციპს, რაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გულისხმობს აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლებას, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა.
2. ზემოაღნიშნული პრინციპის შესაბამისად, უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს უფლება აქვთ უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში, დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, განახორციელონ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა თავისუფლად, ყოველგვარი ზეწოლის, უსაფუძვლო ჩარევისა და შეზღუდვის გარეშე.
3. უნივერსიტეტის სივრცეში აკადემიური თავისუფლება ასევე გულისხმობს მკვლევართა თავისუფლებას, გამოიკვლიონ სამეცნიერო ან/და ინტელექტუალური თვალსაზრისით საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები, წარმოადგინონ კვლევის შედეგები, გამოაქვეყნონ მონაცემები და დასკვნები ყოველგვარი კონტროლისა და ცენზურის გარეშე.

თავი II. კვლევის ეთიკის განმსაზღვრელი კრიტერიუმები და სახელმძღვანელო პრინციპები

მუხლი 5. კვლევის ეთიკის განმსაზღვრელი კრიტერიუმები

1. სამეცნიერო კვლევა - არის პროცესი, რომელიც წარმოქმნის ცოდნას დაკვირვების, ჰიპოთეზების დადგენის, ექსპერიმენტების ჩატარების და შედეგების მიღებიდან.
2. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს საყოველთაოდ მიღებულ კონკრეტულ მოთხოვნებს. მეცნიერული მსჯელობა უნდა მოიცავს რაციონალურობას, საკითხების ეჭვქვეშ დაყენებას, ფაქტების მოძიებასა და მათ გათვალისწინებას. ამასთან, იგი უნდა იყოს კრიტიკისთვის ღია, შემოწმებადი, არადოგმატური და საიმედო, ანალიზზე და არა ინსტინქტებზე დამყარებული.
3. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს კვლევის ეთიკის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმებს: კეთილსინდისიერებას, ობიექტურობას (ინტერსუბიექტურობას), მნიშვნელოვნებას, ორიგინალურობას, აზრობრივ და ენობრივ სიცხადეს, ვალიდურობას, გადამოწმებადობას/ გამჭვირვალობას.
4. კეთილსინდისიერება სამეცნიერო ნაშრომის ხარისხის საფუძველია. მკვლევარმა ყველა გამოყენებული წყარო უნდა დაამოწმოს და არგუმენტაციის აგების პრინციპი ნათლად წარმოაჩინოს. მონაცემებით მანიპულირება, მათი გაყალბება და შედეგების გამოგონება დაუშვებელია სამეცნიერო მუშაობის პროცესში.
5. ობიექტურობა (ინტერსუბიექტურობა): სამეცნიერო ნაშრომი უნდა იყოს მაქსიმალურად ნეიტრალური და მასში არ უნდა ვლინდებოდეს ავტორის პირადი სიმპათიები ან დამოკიდებულება საკვლევი საკითხის მიმართ. მკვლევარის დაკვირვებები და არგუმენტები უნდა იყოს ჩამოყალიბებული საქმიანად და მიუკერძოებლად ლოგიკური დასკვნა-დასაბუთების საფუძველზე. მკვლევარმა თავი უნდა შეიკავოს ემოციური და დაუსაბუთებელი მოსაზრებებისგან, არგუმენტაციისას უნდა წარმოაჩინოს მრავალი პერსპექტივის შესაძლებლობა და მისცეს მკითხველს მეტი სივრცე დამოუკიდებლად აზროვნებისთვის.
6. მნიშვნელოვნება განაპირობებს დარგში ახალი ცოდნის შექმნას და დისციპლინის წინსვლას. მნიშნელოვანია ის ნაშრომები, რომლებიც მაღალი ინფორმაციულობით გამოირჩევიან (კომპილაციური გამოკვლევა) და ის კვლევები, რომელთაც წვლილი შეაქვთ შესაბამისი დარგის განვითარებაში. ამრიგად, როდესაც მკვლევარი სამეცნიერო ნაშრომისთვის თემის შერჩევას იწყებს უწინარესად უნდა დაფიქრდეს იმაზე, რა არის ისეთი საკითხი, რისი

გამოკვლევაც რომელიმე დარგს წინ წასწევს, რაზე და როგორ შეიძლება ახალი ცოდნის შექმნა, რა უნდა გაკეთდეს კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად.

7. ორიგინალურობა: სამეცნიერო ნაშრომის ორიგინალურობა მიიღწევა ახალი კონცეფციის შექმნით, ინოვაციური სქემის წარმოდგენით, კვლევის ახალი მოდელის/მეთოდის დამკვიდრებით ან პრობლემის გადაჭრის ახლებური ხედვით.
8. აზრობრივი და ენობრივი სიცხადე: სამეცნიერო ნაშრომის ენა უნდა იყოს მარტივი, ერთმნიშვნელოვანი და ზუსტი, წინადადებები უნდა იყოს მკაფიოდ აგებული და არ იძლეოდეს ინტერპრეტაციების საშუალებას. აღნიშნულის მისაღწევად, მკვლევარმა უნდა წეროს სადად, მოერიდოს ხატოვან სტილს და გრძელ (რთულ ქვეწყობილ) წინადადებებს, რაც ართულებს ტექსტის წაკითხვას და კიდევ უფრო მეტად - მის გაგებას. ამასთან, მკვლევარმა ყურადღება უნდა დაუთმოს მართლწერის საკითხებს და არ დაუშვას გრამატიკული, ბეჭდური და სტილისტური შეცდომები. მკვლევარი უნდა წერდეს სამეცნიერო მეტა-ენით (აღწერითი ენა) და ზომიერად იყენებდეს საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ დარგობრივ ტერმინებს, საჭიროების შემთხვევაში კი განმარტავდეს მათ, რათა ტერმინთა მრავალმნიშვნელობამ გაუგებრობა ან ბუნდოვანება არ აღძრას მკითხველში.
9. ვალიდურობა (საფუძვლიანობა, დასაბუთებულობა): ნაშრომი უნდა უზრუნველყოფდეს წამოჭრილი თვალსაზრისის შემოწმებისა და უარყოფის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, აკადემიურ ნაშრომში საკვლევი პრობლემა სრულყოფილად იყოს გააზრებული, სამეცნიერო ლიტერატურა თუ სხვა საკვლევი ხელსაწყოები ზედმიწევნით იყოს შერჩეული და მათი ურთიერთკავშირი მკაფიოდ წარმოჩინებული.
10. გამჭვირვალობა/გადამოწმებადობა: სამეცნიერო ნაშრომი არა ვარაუდებზე, არამედ გადამოწმებულ, სანდო ფაქტებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უნდა აიგოს, ხოლო მოყვანილი არგუმენტები ზედმიწევნით, უშეცდომოდ უნდა იყო დამოწმებული, რათა მკითხველს, სურვილის შემთხვევაში, წარმოდგენილი კვლევის გადამოწმება არ გაუჭირდეს.
11. მკვლევრი ვალდებულია კვლევის მონაცემები აკურატულად და მიუკერძოებლად წარადგინოს. მან საკუთარი კვლევის შეზღუდვები და სისუსტეები აუცილებლად უნდა გაუზიაროს კოლეგებს და არ დაუმალოს მკითხველს, თუ კვლევის ჰიპოთეზა არ გამართლდა. მკვლევარს პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც კვლევის მონაწილეების, ისე კოლეგების წინაშე.

მუხლი 6. კვლევის ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპები

1. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევისას მკვლევარმა უნდა დაიცვას კვლევის ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპები.
2. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს ღირებული. კვლევისგან მიღებული სარგებელი უნდა იყოს ნებისმიერ შესაძლო რისკზე წონადი. საუკეთესო შედეგის მისაღწევად კვლევის მეთოდოლოგია სწორად უნდა იყოს შერჩეული.
3. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული კვლევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს კვლევაში მონაწილე პირთა დაცვა და მათი კეთილდღეობა, რათა კვლევის მონაწილეებს არ მიადგეთ რაიმე სახის ფიზიკური და/ან ფსიქიკური ზიანი ან არ შეექმნათ ზიანის მიყენების საფრთხე.
4. თუ კვლევა დაკავშირებულია კვლევაში მონაწილე პირის პოტენციურ რისკთან, მაშინ მკვლევარმა მოსალოდნელი რისკის შესახებ უნდა გააფრთხილოს კვლევის ყველა მონაწილე და მიიღოს მათგან ინფორმირებული წერილობითი თანხმობა. ამ შემთხვევაში, მკვლევარმა უნდა მიმართოს ეთიკის კომიტეტს თანხმობის მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლევა არაეთიკურად ჩაითვლება.
5. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული კვლევისას დაცული უნდა იყოს ინფორმირებული თანხმობის პრინციპი. მკვლევარმა კვლევის ნებისმიერ მონაწილეს უნდა მიაწოდოს სრული ინფორმაცია კვლევის მიზნებისა და კვლევის ყველა ასპექტის შესახებ.
6. პირი შეიძლება მონაწილეობდეს კვლევაში მხოლოდ საკუთარი ნებით და ყოველგვარი იძულების გარეშე. კვლევის მონაწილე პირი დამოუკიდებლად იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას კვლევაში მონაწილეობის შესახებ. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მკვლევარმა ინფორმირებული თანხმობა უნდა მიიღოს კვლევაში მონაწილე პირის კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლისაგან.
7. მკვლევარმა საკუთარი გავლენა არ უნდა გამოიყენოს გავლენის ქვეშ მყოფ კვლევის მონაწილეებზე პირადი ინტერესების სასარგებლოდ. ნებისმიერი ფინანსური ან სხვა სახის სარგებელი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ზემოქმედებად კვლევის პოტენციურ

მონაწილეებზე, შესაძლო რისკზე დათანხმების მიზნით, რომელსაც ისინი ფინანსური ან სხვა სახის სარგებლის გარეშე არ დათანხმდებოდნენ.

8. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული კვლევის პროცესში დაუშვებელია კვლევის მონაწილე პირთა მოტყუება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კვლევის მიზნებიდან გამომდინარე კვლევის მონაწილეებმა არ უნდა იცოდნენ კვლევის ნამდვილი მიზეზი და მიზანი. ამასთან, მკვლევარი ყოველთვის უნდა ცდილობდეს თავიდან აიცილოს კვლევის მონაწილეთა მოტყუების შემთხვევები.
9. კვლევის მონაწილეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გამოეთიშოს კვლევას და უარი თქვას მასში მონაწილეობაზე, ყოველგვარი ახსნა-განმარტებების წარდგენისა და რაიმე სახის პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე. მკვლევარმა კვლევის მონაწილე პირს უნდა განუმარტოს აღნიშნული უფლების შესახებ კვლევის დაწყებამდე. კვლევის მონაწილე პირს უფლება აქვს მოითხოვოს მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირადი მონაცემის განადგურება.
10. იმ შემთხვევაში, თუ კვლევის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს ან სხვა რაიმე გზით უნდა გახდეს ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, მკვლევარმა აღნიშნულის თაობაზე უნდა აცნობოს კვლევის ყველა მონაწილეს და მიიღოს მათგან ინფორმირებული თანხმობა. ამასთან, თუ კვლევა კონფიდენციალური ან ანონიმურია, კვლევის ყველა მონაწილე უნდა იქნეს ინფორმირებული აღნიშნულის შესახებ.
11. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული კვლევისას დაცული უნდა იყოს კონფიდენციალობის პრინციპი. პერსონალური მონაცემები უნდა იყოს ხელმისაწვდომი მხოლოდ მკვლევართა ჯგუფისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კვლევის მონაწილე თანახმაა პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაზე.
12. თუ კვლევის დასრულების შემდეგ კვლევის მონაწილეს არ გააჩნია სრული ინფორმაცია განხორციელებული კვლევის შედეგების შესახებ და სურს მიიღოს იგი, მკვლევარი ვალდებულია მიაწოდოს მას სრული ინფორმაცია კვლევის შედეგების შესახებ.

მუხლი 7. კვლევის ეთიკის სტანდარტები

1. თუ კვლევა ხორციელდება უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში, მკვლევარი ვალდებულია:

ა. კვლევის მონაწილეებს მიაწოდოს სრული ინფორმაცია საკუთარი და ინსტიტუციური კუთვნილების შესახებ;

ბ. კვლევის დაწყებამდე კვლევის მონაწილეებს დეტალურად აუხსნას კვლევის მიზნები და პროცედურები;

გ. კვლევის დაწყებამდე განჭვრიტოს მოსალოდნელი წინააღმდეგობები და ეთიკური დილემები;

დ. კვლევის ყველა მონაწილისგან მიიღოს ინფორმირებული თანხმობა;

ე. პატივი სცეს კვლევით პროცესში მიღწეულ ყველა შეთანხმებას;

ვ. მიაღწიოს შეთანხმება კვლევის იმ მონაწილესთან, რომელიც კვლევის შედეგების გაცნობას ითხოვს და მიაწოდოს მას კვლევის შედეგები წერილობითი ფორმით;

ზ. კვლევის ყოველ ეტაპზე მკაცრად დაიცვას კვლევის ეთიკური სტანდარტები;

თ. საჭიროების შემთხვევაში კვლევის პროექტი გააცნოს კვლევის ეთიკის კომიტეტს;

ი. გააცნოს კვლევის მონაწილეებს თუ როგორ დამუშავდება და სად მოხვდება მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია;

კ. აღწეროს კვლევის განხორციელების პირობები და მიზნები და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს კვლევის მონაწილეებს წერილობითი ფორმით;

ი. იყოს გულწრფელი კვლევის მიზნებისა და კვლევის განხორციელების პირობების შესახებ;

ლ. გაასაჯაროვოს ინტერესთა კონფლიქტის მიმდინარე ან პოტენციური შემთხვევები და საკუთარი კვლევა წარმართოს აკადემიური კეთილსინდისიერების აღიარებული სტანდარტების დაცვით.

2. თუ კვლევა ხორციელდება უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში, მკვლევარმა:

ა. უნდა მიმართოს შესაბამის პირებს, ჯგუფებს და ავტორიტეტებს. მისი საქმიანობის განმსაზღვრელი პრინციპები ყველას მიერ წინასწარ უნდა იქნეს მოწონებული;

ბ. კვლევის მონაწილეებს უნდა გააცნოს კვლევის პროცესის ყველა დეტალი, პირადი ინტერესების ჩათვლით;

გ. უნდა მიიღოს წინასწარი ნებართვა დაკვირვებების საწარმოებლად ან იმ დოკუმენტების ანალიზისთვის, რომლებიც სხვა მიზნითაა შექმნილი;

დ. პატივი უნდა სცეს მათ გადაწყვეტილებასაც, ვინც პროექტში მონაწილეობაზე უარი თქვა, რადგან მონაწილეობა ნებაყოფლობითია;

ე. უნდა დაიცვას პროექტში მონაწილე პირების კონფიდენციალობა.

3. თუ კვლევა ხორციელდება უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში ყველა მონაწილისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს კვლევასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია. ამასთან, კვლევის მიმართულებისა და სასურველი შედეგების დასახვაში ყველა მონაწილე უნდა იყოს ჩართული და მათ უფლება უნდა ჰქონდეს გავლენა მოახდინოს მიმდინარე პროცესზე.
4. თუ კვლევა ხორციელდება უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში საქმიანობის მთელი პროცესი უნდა დარჩეს ღია და სამიზნე ჯგუფის ყველა წევრს უნდა შეეძლოს რჩევისა თუ შენიშვნის მიცემა განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით.
5. თუ კვლევა ხორციელდება უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში აუცილებელია იმ ადამიანებისგან თანხმობის მიღება, რომელთა შეხედულებები ან საქმიანობა აღწერილი იქნება კვლევაში.
6. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს მაქსიმალურად ობიექტური. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვლევის დიზაინს, კვლევის პროცესს და კვლევის შედეგების აღწერას. კვლევის მონაწილეთა ღირსება, კონფიდენციალურობა და ინტერესები კვლევის ყველა ეტაპზე, მათ შორის კვლევის დასრულების შემდეგაც უნდა იყოს დაცული.

მუხლი 8. ეთიკური პრინციპების დაცვის ვალდებულება

1. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში, ნებისმიერ სამეცნიერო სფეროში, განხორციელებული კვლევა ეთიკური პრინციპების დაცვით უნდა წარიმართოს. კვლევის ეთიკის ზედმიწევნით დაცვა უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური მეცნიერებებში, მითუმეტეს მაშინ თუ იგი ეხება ადამიანების მონაწილეობით ჩატარებულ კვლევებს.
2. მკვლევარმა, კვლევას დაწყებამდე, უნდა იცოდეს, თუ რა მიიჩნევა ეთიკურად ან არაეთიკურად შესასწავლ საზოგადოებასა თუ ჯგუფში, რაც კვლევის წარმატებით წარმართვის მნიშვნელოვანი გარანტია.
3. ეთიკური პრინციპების გათვალისწინება აუცილებელია კვლევის მიზნისა და ამოცანების ფორმულირების, შერჩევის განხორციელების, მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის პროცესში, აგრეთვე სანდოობისა და ვალიდობის საკითხების განხილვისას.
4. დაგეგმილი ემპირიული კვლევის განხორციელება უნდა იყოს მიზანშეწონილი. კვლევა საკვლევი ჯგუფის შესახებ ღირებულ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს სამეცნიერო

საზოგადოებას. ამასთან, თავად საკვლევი ჯგუფის წევრებშიც კვლევა არ უნდა იწვევდეს ზერელე დამოკიდებულების თუ უსამართლო მოპყრობის განცდას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოცემული კვლევა ეთიკურად ჩაითვლება.

მუხლი 9. კვლევის მონაწილეთა მოწვევასთან დაკავშირებული ღონისძიებები

1. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული კვლევისას კვლევის მონაწილეთა მოწვევა/შერჩევა უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

   ა. მონაწილეობა ნებაყოფლობითია;

   ბ. მონაწილეთა მოწვევა ხდება კვლევის მთავარი კითხვისა (მიზნისა) და მეთოდების შესაბამისად;

   გ. მონაწილეთა შერჩევა ხდება დისკრიმინაციის გარეშე.
2. უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში განხორციელებული კვლევა უნდა ეფუძნებოდეს მოხალისეთა მონაწილეობას, რომელთაც თავიდანვე კარგად უნდა ესმოდეთ, რომ თავისუფლად შეუძლიათ უარი განაცხადონ კვლევაში მონაწილეობაზე (ასევე, გამოეთიშონ უკვე დაწყებულ კვლევას) მიზეზის დასახელების გარეშე.
3. პირი, რომელიც არ იძლევა თანხმობას კვლევაში მონაწილეობაზე ან უარს ამბობს უკვე დაწყებულ კვლევაში მონაწილეობის გაგრძელებაზე, არ უნდა იქნეს რაიმე ფორმით დისკრიმინირებული.
4. კვლევის ეთიკის კომიტეტისთვის წარდგენილ განაცხადში მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი მონაწილეთა შერჩევის მეთოდები. განაცხადში, აგრეთვე, აღწერილი უნდა იყოს ღონისძიებები, რომელთა დახმარებითაც მკვლევარი უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კონფიდენციალურობის დაცვას მონაწილეთა მოწვევის პროცესში.
5. ადამიანების მონაწილეობით ჩატარებული ყველა კვლევა უნდა შეესაბამებოდეს ავტონომიურობის, სარგებლიანობისა და ზიანის მიუყენებლობის, ასევე სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ ეთიკურ პრინციპებს.
6. ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველია ადამიანის ღირსების პატივისცემისა და დაცვის აუცილებლობა, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს ადამიანის უზენაესობის აღიარებას, რაც სოციოლოგიური კვლევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

7. კვლევაში მონაწილე ადამიანის ინტერესები და კეთილდღეობა საზოგადოებისა და მეცნიერების ინტერესებზე მაღლა უნდა იქნეს დაყენებული. ზემოხსენებულთა შორის კონფლიქტის აღმოცენებისას უპირატესობა ყოველთვის პირველს უნდა მიენიჭოს, ვინაიდან ის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეორე.

მუხლი 10. ავტონომიურობის პრინციპი

1. ავტონომიურობის პატივისცემა ნიშნავს ადამიანის არჩევანის უნარის აღიარებას. სოციოლოგიური კვლევისას ავტონომიურობის პრინციპი განსაკუთრებით თვალნათლივ რეალიზდება თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობით, რომელზეც ნებისმიერ დროს, ზიანის გარეშე შეიძლება უარის თქმა.
2. კვლევის მონაწილეს უნდა მიეწოდოს სათანადო, ზუსტი და გასაგები ინფორმაცია კვლევის პროექტის შესახებ მანამ, ვიდრე მას ჰკითხავენ, არის თუ არა ის თანახმა კვლევაში მონაწილეობაზე.
3. ინდივიდის ინფორმირებული თანხმობის უზრუნველსაყოფად მისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში გასაგები ფორმით უნდა აღიწეროს განზრახული კვლევის პროცედურები, მათი მიზანი, მოსალოდნელი რისკი და სარგებლობა. მიწოდებული ინფორმაციის გაგების უზრუნველყოფისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდების გზა და ფორმა.
4. თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა გულისხმობს, რომ გამორიცხულია პოტენციური კვლევის მონაწილის იძულება ან მასზე ზეგავლენის მცდელობა მისთვის მოტივაციის შექმნის ან მუქარის სახით.
5. არამართლზომიერია ფინანსური ზემოქმედება, ზეგავლენის მოხდენის ცდა უახლოეს ნათესავებზე, შეფარული მუქარა იმ მომსახურებაზე უარის თქმის შესახებ, რომლის დაუბრკოლებლად მიღების უფლებაც აქვს ინდივიდს.
6. განხორციელებული კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სხვაზე დამოკიდებულ და მოწყვლად ადამიანებს. მათი კვლევაში ჩართვის განზრახვა ყოველთვის განსაკუთრებულად უნდა იყოს დასაბუთებული. კვლევის მიზნების მიღწევისათვის აუცილებელ პოტენციურ მონაწილეებს შორის, როგორც წესი, ყველაზე ნაკლებად მოწყვლადი პირები უნდა შეირჩეს.

7. აუცილებელია ნებართვის მიღება იმ პირების დაცვის უზრუნველსაყოფად, რომელთაც არ გააჩნიათ თანხმობის გაცხადების უნარი ასაკის (არასრულწლოვნები), ფსიქიკური მდგომარეობის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო.
8. კვლევის მიზნით მიღებული ან კვლევის შედეგებში ასახული პერსონალური ინფორმაცია კოფიდენციალურად უნდა იქნეს მიჩნეული და იგი შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ კანონმდებლონით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მუხლი 11. სარგებლიანობისა და ზიანის მიუყენებლობის პრინციპი

1. სარგებლიანობისა და ზიანის მიუყენებლობის პრინციპიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებული რისკი და ტვირთი უნდა იყოს პოტენციური სარგებლის პროპორციული. რისკი და ტვირთი ყოველთვის მინიმუმამდე უნდა შემცირდეს.
2. სარგებლიანობისა და ზიანის მიუყენებლობის პრინციპი გულისხმობს სავარაუდო სარგებლის მაქსიმალურად გაზრდისა და სავარაუდო ზიანის მინიმუმამდე შემცირების მორალურ ვალდებულებას.
3. სარგებლიანობის პრინციპი გულისმობს კვლევის პროექტის ჯეროვნად დასაბუთებას, სამეცნიერო ხარისხის კრიტერიუმებთან მისადაგებას, მკვლევარის კომპეტენციის შესაბამისობას პროფესიულ ვალდებულებებთან და სტანდარტებთან, კვლევის მონაწილის დაცვის უზრუნველყოფას.
4. ადამიანის მონაწილეობით კვლევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შესატყვისი შედეგების მიღების ალტერნატიული მეთოდი.
5. კვლევის ეთიკის თვალსაზრისით, გადამწყვეტია ბალანსი კვლევის მონაწილის სარგებლიანობასა და შესაძლო ზიანს შორის. კვლევის პროექტი მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს, თუ არ აღინიშნება დისპროპორცია, ერთი მხრივ, სავარაუდო რისკისა და ტვირთის დონეს, მეორე მხრივ, მოსალოდნელ სარგებლიანობას შორის. ყველა კვლევის პროექტი განხილული უნდა იქნეს რისკის/სარგებლიანობის შედარებითი შეფასების პოზიციიდან გამომდინარე.
6. რისკი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ, ფსიქიკურიც. კვლევა ასევე შეიძლება შეიცავდეს სოციალურ ან ეკონომიკურ რისკსაც. იმ შემთხვევაში, თუ კვლევის პროექტის მოსალოდნელი სარგებლიანობა ერთმნიშვნელოვნად აღემატება სავარაუდო

რისკს, მაგრამ ეს უკანასკნელი გულისხმობს სერიოზული ზიანის მიყენების ძალიან მაღალ ალბათობას, კვლევა არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. გარკვეული სახისა და ხარისხის რისკი დაუშვებელია, მაშინაც კი, თუ პირი თანახმაა კვლევაში მონაწილეობაზე.

მუხლი 12. სამართლიანობის პრინციპი

1. სამართლიანობის პრინციპი გულისხმობს თანაბარუფლებიანობას და მიუკერძოებლობას.
2. ადამიანების მონაწილეობით ჩატარებული კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვლევის მონაწილეთა შერჩევას. შერჩევის კრიტერიუმები კვლევის არსიდან უნდა გამომდინარეობდეს და არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ თანხმობის მარტივად მიღების შესაძლებლობას.

მუხლი 13. ინფორმირებული თანხმობა

1. კვლევის ეთიკის ქვაკუთხედს კვლევის მონაწილეთა მხრიდან ინფორმირებული თანხმობის მოპოვება წარმოადგენს. ნებაყოფლობითი თანხმობა კვლევაში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა. კვლევა არ შეიძლება ჩატარდეს პოტენციური კვლევის მონაწილეების თანხმობის გარეშე. ამასთან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუცილებელია კვლევაში მონაწილე პირის კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის ნებართვა.
2. კვლევის მონაწილეების მიერ თანხმობა გაიცემა წერილობითი ფორმით. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც წერილობითი თანხმობის მიღება შეუძლებელია, დასაშვებია ზეპირი თანხმობა, თუ ის სათანადოდ არის დოკუმენტირებული და დამოწმებული დამოუკიდებელი მესამე პირის მიერ.

მუხლი 14. კვლევის მონაწილეთა დაცვა ზიანის მიყენებისგან

1. კვლევის მონაწილეთა დაცვა ზიანის მიყენებისგან - მნიშვნელოვანი ეთიკური პრინციპია. ზიანი შესაძლოა გამოიხატოს როგორც კვლევის მონაწილეთა შიშით, არ გამოიყურებოდნენ მიუღებელი, სასაცილო სახით, რაც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მათ თვითშეფასებაზე, ასევე რეალური საფრთხით - ზიანი შესაძლოა მიადგეთ მათ სოციალურ სტატუსს, სამსახურებრივ პოზიციას ან თუნდაც ფიზიკურ უსაფრთხოებას.

2. მკვლევარი თანაგრძნობით უნდა მოეკიდოს კვლევის მონაწილეებს და განსაკუთრებული სიფრთხილით მიუდგეს „სენსიტიური“ თემების განხილვას, რათა მონაწილეებს არ მიაყენოს ფსიქოლოგიური ზიანი. ამასთან, მან უნდა უზრუნველყოს კვლევის მონაწილეთა კონფიდენციალობა, რათა არ მოხდეს მათი იდენტიფიცირება გარეშე პირების მიერ.
3. მონაწილეთა ზიანის მიყენებისგან დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა კვლევის ეთიკის კომიტეტი, რომელთაც მკვლევარი წინასწარ წარუდგენს დაგეგმილი კვლევის დეტალებს. თუ კვლევის ეთიკის კომიტეტი გადაწყვეტს, რომ მონაწილეები არ არიან სათანადოდ დაცულნი ზიანის მიყენებისგან, ასეთ შემთხვევაში მკვლევარმა კვლევა უნდა დაგეგმოს სხვაგვარად.

მუხლი 15. კვლევის მონაწილეთა კონფიდენციალობის დაცვა

1. კვლევის მონაწილეთა კონფიდენციალობის დაცვა თვისებრივი კვლევის ეთიკის განუყოფელი ნაწილია.
2. თვისებრივ კვლევაში მკვლევარმა იცის რესპონდენტების ვინაობა და შეუძლია თითოეული სიღრმისეული ინტერვიუს დაკავშირება კონკრეტულ ადამიანთან, მაგრამ მან ეს ინფორმაცია არ უნდა გაასაჯაროვოს. თვისებრივ ანგარიშში კვლევის მონაწილეთა ვინაობა უნა იყოს დაფარული – სახელები უნდა იყოს შეცვლილი, სახელების ნაცვლად შესაძლებელია გამოიყენებოდეს ინიციალები, ზოგჯერ უნდა შეიცვალოს ლოკაციებიც, რათა გამოირიცხოს კონკრეგტული პირების/ინდივიდებვის ამოცნობა.

თავი III. კვლევის ეთიკის კომიტეტი

მუხლი 16. კვლევის ეთიკის კომიტეტი

1. კვლევის ეთიკის კომიტეტი არის უნივერსიტეტის მულტიდისციპლინური, დამოუკიდებელი, კოლეგიალური ორგანო.
2. კვლევის ეთიკის კომიტეტის დანიშნულებაა ადამიანების მონაწილეობით ჩატარებული კვლევის პროექტის განხილვა კვლევის მონაწილეთა ღირსების, ფუნდამენტური უფლებების, უსაფრთხოების და კეთილდღეობის პატივისცემისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

3. კვლევის ეთიკის კომიტეტმა თავის საქმიანობაში უნდა იხელმძღვანელოს საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური პრინციპებითა და წინამდებარე სტანდარტით.
4. კვლევის ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა, მათი კომპეტენცია ეთიკურ და სამეცნიერო საკითხებში, აგრეთვე, სამუშაო მეთოდები და საქმიანობა უნდა იძლეოდეს გარანტიას, რომ მისი წევრები სანდონი არიან და შესწევთ მათზე დაკისრებული ფუნქციის ეფექტურად და დამოუკიდებლად განხორციელების უნარი.

მუხლი 17. კვლევის ეთიკის კომიტეტის როლი და საქმიანობა კვლევის პროცესში

1. კვლევის ეთიკის კომიტეტს გააჩნია განსაკუთრებული როლი სოციალური კვლევის პროექტის დამტკიცებაში, მიმდინარეობაში, კვლევის შედეგების შეფასებასა და გამოქვეყნებაში. შესაბამისად, კვლევის ეთიკის კომიტეტის ზოგადი და პრაქტიკული პასუხისმგებლობა ვრცელდება სოციალური კვლევის სრულ სპექტრზე.
2. კვლევის ეთიკის კომიტეტის მიზანია სოციალური კვლევის ეთიკურად ჩატარების უზრუნველყოფა.
3. კვლევის ეთიკის კომიტეტი ვალდებულია ვალდებულია, უზრუნველყოს მკვლევართა ცოდნის გაუმჯობესება კვლევის ზოგადი კულტურისა და კვლევის ეთიკური საკითხების თაობაზე.
4. კვლევის ეთიკის კომიტეტი ასევე უზრუნველყოფს მკვლევართა ინფორმირებას კვლევის ეთიკის პოლიტიკისა და კვლევის ეთიკური საკითხების შესახებ.
5. კვლევის ეთიკის კომიტეტი განიხილავს ადამიანების მონაწილეობით ჩატარებული კვლევის პროექტებს.

მუხლი 18. კვლევის ეთიკის კომიტეტის დამოუკიდებლობა

1. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და გააჩნდეთ გადაწყვეტილების მიღებისას არასასურველი პოლიტიკური, პროფესიული, ინსტიტუციური თუ საბაზრო გავლენის თავიდან აცილების უნარი.

2. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრები ვალდებულნი არიან განაცხადონ კვლევის ეთიკის კომიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

მუხლი 19. კვლევის ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა

1. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრებმა უნდა უზრუნველყონ წარდგენილი კვლევის პროექტების ეფექტური და სანდო ეთიკური განხილვა.
2. დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრებს უნდა გააჩნდეთ კოლექტიური კომპეტენცია მათი საქმიანობისთვის აუცილებელ სფეროებსა და დისციპლინებში.
3. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრების შერჩევის მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს სათანადო ბალანსი სამეცნიერო კვალიფიკაციას, ფილოსოფიურ, იურიდიულ ან ეთიკურ საბაზისო განათლებასა და საზოგადოებრივ შეხედულებებს შორის.
4. კვლევის ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა წარმოდგენილი უნდა იყოს მეცნიერებით, სპეციალისტებით, იურისტებით, ეთიკაში სპეციფიკური კვალიფიკაციის მქონე პირებით.
5. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრებს უნდა შეეძლოთ ბალანსის უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, კვლევის მეშვეობით საზოგადოებისთვის მოსალოდნელ სიკეთესა და, მეორე მხრივ, კვლევის მონაწილეების ადამიანური ღირსების, უფლებების, ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და ინტერესების დაცვას შორის.
6. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრებს უნდა შეეძლოთ იმისი გარანტირება, რომ კონფლიქტის შემთხვევაში კვლევის მონაწილეების ინტერესები და კეთილდღეობა უზენაესად იქნება მიჩნეული.
7. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრებს კარგად უნდა ესმოდეთ კვლევის მნიშვნელობა, რა სიკეთის მოტანა შეუძლია მას საზოგადოებისთვის. მათ გათავისებული უნდა ჰქონდეთ კვლევის პრინციპები და მეთოდები, კონტექსტი და პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრებს უნდა გააჩნდეთ მათთვის წარდგენილი კვლევის პროექტის თანამდევი ეთიკური პრობლემების დამოუკიდებლად განსჯის უნარი.

8. კვლევის ეთიკის კომიტეტი უნდა იყოს მულტიდისციპლინური და ასახავდეს პროფესიული და არაპროფესიული შეხედულებების სპექტრს. გარდა ამისა, სასურველია კვლევის ეთიკის კომიტეტის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნეს გენდერული ბალანსიც.
9. განსახილველი პროექტების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, კვლევის ეთიკის კომიტეტს უფლება აქვს, დამატებითი რეკომენდაციების მოძიების მიზნით, მოიწვიოს გარე ექსპერტებიც.
10. კვლევის ეთიკის კომიტეტი დამოუკიდებელია, როგორც მკვლევარებისგან, აგრეთვე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან.
11. კვლევის ეთიკის კომიტეტის შემადგენლობას უნდა შეეძლოს მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის, კეთილი ნების გამოვლენა, სხვა მხარეებთან ურთიერთობისას დიალოგისთვის ხელშეწყობა და მისი გამოყენება კვლევის სფეროში.
12. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრების რაოდენობასა და შემადგენლობას, მათ შორის, კვლევის ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს 5 წლის ვადით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. ამასთან, კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრების დანიშვნა და შემადგენლობის განახლება უნდა იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და მიკერძოებისაგან თავისუფალი, რათა საფრთხე არ შეექმნას კომიტეტის დამოუკიდებლობას.

მუხლი 20. კვლევის ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე

1. კვლევის ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა გააჩნდეს განსაკუთრებული მომზადება თავმჯდომარის მოვალეობების ეფექტურად შესასრულებლად.
2. კვლევის ეთიკის კომიტეტის თამვჯდომარე:

   ა. ამზადებს, იწვევს და ხელმძღვანელობს კომიტეტის შეხვედრებს;

   ბ. წარმოადგენს კვლევის ეთიკის კომიტეტს უნივერსიტეტის წინაშე;

   გ. შეიმუშავებს კვლევის ეთიკის კომიტეტის სხდომებისა და კვლევის ეთიკის საკითხებთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობის გეგმას;

   დ. უზრუნველყოფს დროულ პასუხს განაცხადებზე;

   ე. ხელს აწერს კვლევის ეთიკის კომიტეტის ოფიციალურ დოკუმეტებს, აუცილებლად – კვლევის ეთიკის კომიტეტის დასკვნას განხილული კვლევის გეგმის ეთიკურობის შესახებ, აგრეთვე, სხვა დოკუმენტებს;

ვ. კოორდინაციას უწევს, ხელმძღვანელობს და მეთვალყურეობს კვლევის ეთიკის კომიტეტის საქმიანობასა და სხვადასხვა აქტივობებს, სამდივნოს საქმიანობას;

ზ. ამზადებს და წარადგენს კვლევის ეთიკის კომიტეტის ბიუჯეტს;

თ. მეთვალყურეობს და გეგმავს საგანმანათლებლო ღონისძიებებს კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრებისთვის და მთლიანად კომიტეტისთვის;

ზ. უზრუნველყოფს კვლევის ეთიკის კომიტეტის სახელით სპეციფიკურ კონსულტაციებს მკვლევარებთან;

თ. საჭიროების შემტხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას კვლევის ეთიკის კომიტეტის სახელით.

3. კვლევის ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის ფუნქციებს მისი არყოფნისას.

მუხლი 21. კვლევის ეთიკის კომიტეტის მდივანი

1. კვლევის ეთიკის კომიტეტის მდივანი უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, მათ შორის დოკუმენტების მომზადებას კვლევის ეთიკის კომიტეტისთვის, აწარმოებს კვლევის ეთიკის კომიტეტის სხდომებისა და სხვა აქტივობების ოქმებს.
2. კვლევის ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარისა და თვმჯდომარის მოადგილის დახმარებით ამზადებს დოკუმენტებს კვლევის ეთიკის კომიტეტის სხდომებისთვის.
3. კვლევის ეთიკის კომიტეტის მდივანი ამზადებს და ავრცელებს კვლევის ეთიკის კომიტეტის სხდომების ოქმებს.

მუხლი 21. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრების საწყისი და უწყვეტი მომზადება

1. კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრებმა უნდა გაიარონ კვლევის ეთიკის კომიტეტში მათი როლის/საქმიანობის შესაბამისი საწყისი და უწვეტი განათლების კურსები. ყველა წევრმა დამატებით, საჭიროებისამებრ, უნდა გაიაროს სასწავლო კურსი. ამასთან, სწავლების მიზანი უნდა იყოს ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების გათავისება:

   ა. ეთიკური პრინციპები და მათი გამოყენება კვლევისას;

   ბ. კვლევის გეგმა და მეთოდები;

გ. კვლევის ჩატარების პრაქტიკული ასპექტები.

2. სასწავლო კურსში, ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საკითხები, კვლევის ეტიკის კომიტეტის წევრების მოთხოვნების შესაბამისად. გამოცდილების გასაზიარებლად უნდა მოეწყოს კვლევის ეთიკის კომიტეტის რეგულარული შეხვედრები ან კონფერენციები.

მუხლი 22. კონფიდენციალურობა

1. კვლევის ეთიკის კომიტეტის ყველა წევრი კონფიდენციალურად უნდა მიიჩნევდეს კვლევის ეთიკის კომიტეტისთვის წარდგენილ ნებიმიერ ინფორმაციას.
2. ექსპერტმა, რომელიც მოწვეულია აზრის გამოსათქმელად რომელიმე კვლევის გეგმის თაობაზე, აგრეთვე უნდა დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
3. კვლევის ეთიკის კომიტეტის დისკუსიების შინაარსი და შეფასების პროცესის დეტალები აგრეთვე კონფიდენციალურია.

მუხლი 23. კვლევის ეთიკის კომიტეტის ანგარიშვალდებულება

1. კვლევის ეთიკის კომიტეტი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.
2. კვლევის ეთიკის კომიტეტმა ყოველწლიურად უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტის რექტორისათვის სათანადო ინფორმაციის წარდგენა საკუთარი საქმიანობის – ეთიკური განხილვების, კვლევის მეთვალყურეობის ან სხვა აქტივობების – შესახებ კარგად სტრუქტურირებული, რეგულარული ანგარიშების სახით, რომლებიც არ უნდა ამჟღავნებდეს კონფიდენციალურ დეტალებს კვლევის ან მისი მონაწილეების შესახებ.
3. კვლევის ეთიკის კომიტეტის ანგარიშები, სრული ფორმატით ან ძირითადი საკითხების შემცველი განმარტებითი ბარათის სახით, უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე.

მუხლი 24. კვლევის ეთიკის კომიტეტის საქმიანობის რეგლამენტი

1. კვლევის ეთიკის კომიტეტის საქმიანობის წესი განისაზღვრება კვლევის ეთიკის კომიტეტის საქმიანობის რეგლამენტით.

2. კვლევის ეთიკის კომიტეტის საქმიანობის რეგლამენტს შეიმუშავებს კვლევის ეთიკის კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. კვლევის ეთიკის კომიტეტის საქმიანობის რეგლამენტში აღწერილი უნდა იყოს კვლევის ეთიკის კომიტეტის ეფექტურად და გამჭვირვალედ საქმიანობის მეთოდები.
4. კვლევის ეთიკის კომიტეტის რეგლამენტი უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

მუხლი 25. კვლევის ეთიკის კომიტეტის სხდომები

1. კვლევის ეთიკის კომიტეტის სხდომები მისი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.
2. სხდომებზე კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრები განიხილავენ კვლევის გეგმებს და იღებენ გადაწყვეტილებას კვლევის ეთიკური შესაბამისობის თაობაზე.
3. სხდომების განრიგი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრებს საკმარისი დრო უნდა ჰქონდეთ სხდომამდე დოკუმენტების გასაცნობად.
4. კვლევის ეთიკის კომიტეტმა იმგვარად უნდა განსაზღვროს ადმინისტრაციული პროცედურები, რომ უზრუნველყოფილი იქნეს განხილვის ყველა ეტაპზე მომზადებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობა.
5. კვლევის ეთიკის კომიტეტის მდივანი, აგრეთვე, პასუხისმგებელია კომიტეტის სხდომების ორგანიზებაზე, მათ შორის, სხდომების დოკუმენტებისა და ოქმების დაგზავნაზე.

მუხლი 26. კვლევის ეთიკის კომიტეტის დოკუმენტების დაარქივება

კვლევის ეთიკის კომიტეტის დოკუმენტების უსაფრთხო დაარქივებას, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს სენსიტიურ ინფორმაციას (მაგალითად, პერსონალურ მონაცემებს ან ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას), უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

თავი IV. კვლევის პროექტის შეფასება კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ

მუხლი 27. განაცხადის წარდგენა

1. მკვლევარმა კვლევის ეთიკის კომიტეტს განაცხადი უნდა წარუდგინოს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. კვლევის ეთიკის კომიტეტმა უნდა დაადასტუროს განაცხადის მიღება.
2. განაცხადში მითითებული უნდა იყოს საკონტაქტო პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კვლევის ეთიკის კომიტეტთან ურთიერთობასა და კომიტეტის კითხვებზე საპასუხოდ.
3. კვლევის ეთიკის კომიტეტმა თითოეული წარმოდგენილი კვლევის პროექტის შეფასებამდე უნდა შეამოწმოს და დარწმუნდეს, რამდენად შეესაბამება განაცხადი კომიტეტის კომპეტენციის სფეროს. ამათან, კვლევის ეთიკის კომიტეტმა უნდა გაარკვიოს, წარმოადგინა თუ არა განმცხადებელმა კვლევის გეგმის ეთიკური შეფასებისთვის აუცილებელი ყველა დოკუმენტი. კვლევის ეთიკის კომიტეტი ასევე უნდა დარწმუნდეს, რომ აპლიკანტი ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია, წარმოადგინოს აღნიშნული პროექტი.
4. თუ განაცხადის წარდგენისთვის განსაზღვრული ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, კვლევის ეთიკის კომიტეტმა უნდა აცნობოს განმცხადებელს **განხილვის დაწყების შესახებ**. შეტყობინება უნდა შეიცავდეს განხილვის სავარაუდო განრიგს და გაფრთხილებას იმის თაობაზე, რომ დამატებითი დოკუმენტაციის ან ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში განრიგი შეიძლება შეიცვალოს.
5. აპლიკანტისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, რომ, კვლევის გეგმასთან დაკავშირებული კითხვების გასარკვევად აპლიკანტის პირადად მოწვევის შემთხვევაში, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას შეფასების პროცედურაში.
6. კვლევის ეთიკის კომიტეტმა, კვლევის გეგმის შესაფასებლად, კომიტეტის წევრებს უნდა მისცეს საშუალება, განაცხადონ წარმოდგენილი კვლევის გეგმის განხილვასთან დაკავშირებული შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

მუხლი 28. კვლევის ეთიკის კომიტეტის როლი კვლევის დაწყებამდე

1. კვლევის ეთიკის კომიტეტი, ვალდებულია, კვლევის გეგმის დამტკიცებამდე, განსაჯოს, ეთიკურად რამდენად მისაღებია კვლევის გეგმა. ამ გზით კვლევის ეთიკის კომიტეტი უზრუნველყოფს არაეთიკურ კვლევის თავიდან აცილებას, ხელს უწყობს კვლევის ხარისხსა და ეთიკურ კეთილსაიმედოობას.

2. კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ მიზნის მიღწევის ძირითადი საშუალებაა კვლევის გეგმის განხილვა და წერილობითი დასკვნის მომზადება იმის თაობაზე, არის თუ არა კვლევა ეთიკურად მისაღები.
3. კვლევის ეთიკის კომიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, მკვლევარს უწევს კონსულტაციას კვლევის პროექტის დაგეგმვისა და მისი ეტაპების შესახებ.
4. კვლევის ეთიკის კომიტეტი ვალდებულია, შეაფასოს კვლევის გეგმის ეთიკური მახასიათებლები ორი ძირითადი მიმართულებით:

   ა. კვლევის ჩატარების ეთიკურობის, მოსალოდნელი შედეგების, ამ უკანასკნელთა საზოგადოებისათვის მნიშვნელობის თვალსაზრისით. ამასთან, „საზოგადოებაში“ იგულისხმება როგორც ლოკალური, ისე ფართო კონტექსტი.

   ბ. კვლევის მომავალი მონაწილეების უფლებების, ღირსების, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დაცვის თვალსაზრისით.
5. კვლევის გეგმის შეფასებისას, კვლევის ეთიკის კომიტეტმა უნდა განიხილოს ეთიკური საკითხების შესაბამისობა სათანადო პრინციპებთან, რომლებიც აღიარებულია როგორც წინამდებარე სტანდარტით, ასევე საერთაშორისო საზოგადოების მიერ.
6. კვლევის ეთიკის კომიტეტმა უნდა მოიწონოს კვლევის გეგმის სამეცნიერო ხარისხი და მისი შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასთან.

მუხლი 29. კვლევის ეთიკის კომიტეტისათვის წარსადგენი ინფორმაცია

1. მკვლევარმა კვლევის ეთიკის კომიტეტს განსახილველად უნდა წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:

   ა. მკვლევარის ვინაობა, მკვლევართა კვალიფიკაცია და გამოცდილება;

   ბ. დაფინანსების საკითხები;

   გ. კვლევის მიზანი და საჭიროების დასაბუთება, დაფუძნებული უახლეს სამეცნიერო მტკიცებულებებზე;

   დ. მეთოდები და პროცედურები, სტატისტიკური და სხვა ანალიზური მეთოდების ჩათვლით;

   ე. მარტივი, არაპროფესიონალებისათვის გასაგები ენით დაწერილი კვლევის გეგმის ვრცელი რეზიუმე;

ვ. იყო ან ხომ არ არის კვლევის გეგმა წარდგენილი განსახილველად და დასამატკიცებლად, როგორი იყო წარდგენის შედეგი;

ზ. მონაწილეები, თანხმობა და ინფორმაცია;

თ. კვლევაში ადამიანების მონაწილეობის აუცილებლობის დასაბუთება;

ი. კვლევის მონაწილედ ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმები;

კ. კვლევის ტიპი;

ლ. კვლევის მონაწილეთა შერჩევისა და მოწვევის პროცედურები;

მ. კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკის ხასიათისა და ხარისხის აღწერა;

ნ. დაგეგმილი ჩარევის ხასიათი, მოცულობა და ხანგრძლივობა, აგრეთვე, კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სირთულე თუ უხერხულობა;

ო. კვლევაში მონაწილეთათვის შეთავაზებული ინფორმაციის აღწერილობა, მიწოდების დრო და, აგრეთვე, მეთოდები;

პ. დოკუმენტაცია და ნებისმიერი ვიზუალური თუ სხვა მასალა, რომელიც თანხმობის ან ნებართვის (როცა პირს არა აქვს თანხმობის გაცხადების უნარი) მისაღებად იქნება გამოყენებული;

ჟ. კვლევაში მონაწილეთა პირადი ცხოვრების დაცვისა და პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველმყოფი ღონისძიებები/მექანიზმები;

რ. როგორ მოხდება კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის გამოყენება;

2. მკვლევარის განაცხადი ასევე უნდა მოიცავდეს:

ა. კვლევის ჩატარებისთვის აუცილებელი საშუალებების, აღჭურვილობის აღწერას;

ბ. კვლევაში მონაწილეობისთვის დაწესებული ნებისმიერი ანაზღაურებისა და წახალისების დეტალებს;

გ. ყველა იმ გარემოების აღწერას, რომელმაც შეიძლება ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს და ხელი შეუშალოს მკლევართა დამოუკიდებელ მსჯელობას;

დ. კვლევის შედეგების, კვლევის პროცესში მიღებული სხვა მონაცემების შესაძლო სამომავლო გამოყენებასთან, მათ შორის, კომერციული მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციას;

ე. მკვლევართა აზრით მნიშვნელოვანი ყველა სხვა ეთიკური საკითხის აღწერას;

ვ. კვლევაში მონაწილეობის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებისთვის გამიზნული ნებისმიერი კომპენსაციის დეტალებს.

მუხლი 30. პროექტის აღწერა

1. აპლიკანტის განაცხადი უნდა შეიცავდეს საკმარის ინფორმაციას საიმისოდ, რომ კვლევის ეთიკის კომიტეტმა შეძლოს კვლევის გეგმის ეთიკურობის შეფასება. ამასთან, განაცხადში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული მთავარი ან წამყვანი მკვლევარი. ერთობლივი კვლევების შემთხვევაში სხვა მკვლევარებმა კვლევის ეთიკის კომიტეტს ყველა საჭირო ინფორმაცია უნდა გადასცენ მთავარი მკვლევარის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს მთავარ საკონტაქტო პირს კვლევის ეთიკის კომიტეტთან ურთიერთობისას.
2. კვლევის ეთიკის კომიტეტი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა მკვლევარს გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია.
3. გაუმართლებელი კვლევების ჩატარების თავიდან აცილების მიზნით, კვლევის ეთიკის კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს წარმოდგენილი კვლევის მეცნიერულ დასაბუთებას.
4. კვლევის მეთოდები და პროცედურები დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი, რათა კვლევის ეთიკის კომიტეტს შეეძლოს განსჯა, ხომ არ ექმნება რაიმე საფრთხე კვლევაში მონაწილე პირებს.
5. კვლევის გეგმა უნდა იყოს ყოვლისმომცველი და მარტივი ენით გადმოცემული, რათა კვლევა გასაგები გახდეს კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრებისთვის, მათ შორის, კომიტეტის იმ წევრებისათვისაც, რომლებიც, შეიძლება, კარაგად არ იცნობდნენ განსახილველი კვლევის ყველა ასპექტს.
6. აპლიკანტმა უნდა დაასაბუთოს, რატომ გეგმავს ადამიანების მონაწილეობით კვლევის ჩატარებას. ამასთან, კვლევის ეთიკის კომიტეტი უნდა დარწმუნდეს, რომ მსგავსი შედეგების მიღება სხვა გზით შეუძლებელია.

მუხლი 31. ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმები

1. საკვლევი ჯგუფის სიდიდის განსაზღვრა დამოკიდებული უნდა იყოს კვლევის თავისებურებაზე და ითვალისწინებდეს სტატისტიკურ მოსაზრებებს. კვლევის დიზაინზეა დამოკიდებული, რა კატეგორიის ადამიანები უნდა ჩაერთონ კვლევაში.
2. აპლიკანტებმა უნდა დაასაბუთონ მათ მიერ შეთავაზებული ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმები, რათა თავიდან იქნეს აცილებული როგორც გაუმართლებელი ჩართვა (მაგალითად, კვლევის ჩატარება თანხმობის გაცხადების უნარის არმქონე პირებზე მაშინ, როცა მისი ჩატარება შესაძლებელია თანხმობის უნარის მქონე პირებზე), ისე გაუმართლებელი გამორიცხვა (მაგალითად, სქესის ან ასაკის გამო).

მუხლი 32. კვლევის პროექტის შეფასება კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ

1. კვლევის პროექტის შეფასებისას კვლევის ეთიკის კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პოტენციური მონაწილეებისთვის ინფორმაციის მიწოდების გზების დაგეგმვას.
2. პოტენციური მონაწილეებს ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ სიტყვიერად, საჭიროებისას – დამოუკიდებელი თარჯიმნის დახმარებით, რასაც თან უნდა ახლდეს წერილობითი ინფორმაცია მონაწილეთათვის. ეს უკანასკნელი უნდა შედიოდეს განაცხადის დოკუმენტაციაში. წერილობითი ინფორმაცია გადმოცემული უნდა იყოს მკაფიოდ, მარტივი, არაპროფესიონალისთვის ადვილად გასაგები ენით.
3. თუ გარემობებები მოითხოვს ინფორმაციის სხვა ენაზე თარგმნას, კვლევის ეთიკის კომიტეტი უნდა დარწმუნდეს, რომ მკვლევარებს დადასტურებული აქვთ მონაწილეთათვის მისაწოდებელი ინფორმაციის სიზუსტე ნათარგმნი მასალის საწყის ენაზე თარგმნისა და შეჯერების გზით. მონაწილეს შესანახად უნდა გადაეცეს საინფორმაციო ბროშურის ასლი (აგრეთვე, ხელმოწერილი თანხმობის ფორმის ასლი).
4. მონაწილეთათვის მისაწოდებელ ინფორმაციაში უნდა აისახოს:

   ა. კვლევის დასახელება;

   ბ. შესავალი აბზაცი კვლევაში მონაწილეობის მისაღებად მოწვევის შესახებ;

   გ. კვლევის მიზანი;

   დ. რატომ შემარჩიეს იგი კვლევაში მონაწილეობის მისაღებად;

   ე. ვალდებულია, თუ არა იგი განაცხადოს თანხმობა;

ვ. რა მოელის, თუ დათანხმდება კვლევაში მონაწილეობაზე;

ზ. რა მოელის, თუ უარს იტყვის კვლევაში მონაწილეობაზე;

თ. რა უნდა გააკეთოს;

ი. შეუძლია, თუ არა, უარი თქვას კვლევაში მონაწილეობაზე კვლევის პროცესში;

კ. რა მოხდება, თუ უარს იტყვის კვლევის პროცესში;

ლ. რა შესაძლო არასახარბიელო გარემოებანი და რისკი ახლავს კვლევაში მონაწილეობას;

მ. იქნება, თუ არა ინფორმირებული კვლევის შედეგების შესახებ;

ნ. რა შესაძლო სარგებლობა ახლავს კვლევაში მონაწილეობას.

მუხლი 33. არასათანადო ზეგავლენის შესაძლებლობა

1. კვლევის ეთიკის კომიტეტი უნდა დარწმუნდეს, რომ მკვლევარები ბოროტად არ გამოიყენებენ მათ ზეგავლენას ადამიანებზე კვლევაში მონაწილეობაზე დასათანხმებლად. ასეთი ზეგავლენა შეიძლება იყოს ფინანსური ხასიათის, თუმცა, შესაძლოა, სხვა ფორმითაც იქნეს გამოხატული.
2. კვლევის ეთიკის კომიტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს ასევე არასასურველი ზეგავლენის სხვა მიზეზებს.

მუხლი 34. თანხმობის მიღების პროცედურები და ფარგლები

1. მკვლევარებმა განაცხადში მკაფიოდ უნდა აღწერონ თანხმობის მიღების პროცედურები. კვლევის ეთიკის კომიტეტი უნდა დარწმუნდეს, რამდენად თავისუფალია თანხმობის მიღების პროცესი არასასურველი ზეგავლენისგან.
2. კვლევის ეთიკის კომიტეტი, უნდა დარწმუნდეს, რომ პოტენციურ მონაწილეებს საკმარისი დრო მიეცემათ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის გასააზრებლად და კითხვების დასასმელად მანამ, სანამ ისინი გადაწყვეტენ, მიიღონ, თუ არა მონაწილეობა კვლევაში.
3. კვლევის ეთიკის კომიტეტისათვის ნათელი უნდა იყოს, რას ეხება თანხმობა. ამასთან, თანხმობა უნდა შეესაბამებოდეს დაგეგმილ კვლევას. როცა იგეგმება კვლევის ჩანაწერების შემდგომი გამოყენება, მკვლევარმა წინასწარ, თანხმობის მიღების პროცესში უნდა გაითვალისწინოს ასეთი კვლევის შესაძლებლობა.

4. მიზანშეწონილი არ არის ე.წ. ბლანკეტური თანხმობის მიღება მონაცემების მასალების სამომავლო გამოყენებისთვის.
5. მონაცემების ანონიმურობა, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, ისევე, როგორც ეს აუცილებელია მოცემული კვლევისთვის.

მუხლი 35. კონფიდენციალურობა და ინფორმაციის მიღების უფლება - მონაცემთა დაცვა

1. კვლევის პროცესში მოპოვებული პირადი ინფორმაცია უნდა ჩაითვალოს კონფიდენციალურად და უნდა იყოს დაცული სათანადოდ, რისთვისაც მონაცემებს, შეძლებისდაგვარად, სწრაფად უნდა მოსცილდეს საიდენტიფიკაციო ნიშნები.
2. აპლიკანტებმა უნდა დაასაბუთონ იდენტიფიკაციის შესაძლებლობის საჭიროება, მისი ფორმა და ხარისხი, აგრეთვე, უნდა აღწერონ შესაბამისი დაცვის ღონისძიებები. ამასთან, განაცხადში უნდა მიეთითოს, იდენტიფიცირებადი მონაცემების შენახვის ხანგრძლივობა.
3. იდენტიფიცირებადი მონაცემების გამოყენების შემთხვევაში, კვლევის მონაწილეებს უნდა ეცნობოთ, რამდენად იდენტიფიცირებადი იქნება მონაცემები და ვისთვის იქნება ხელმისაწვდომი იდენტიფიკატორები. კვლევის მონაწილემ თანხმობა უნდა განაცხადოს მისი იდენტიფიცირებადი მონაცემების გამოყენებაზე.

მუხლი 36. ცოდნის უფლება – არცოდნის უფლება

1. კვლევის მონაწილეებს უფლება აქვთ, მიიღონ კვლევის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია ან უარი თქვან მის მიღებაზე.
2. კვლევის ეთიკის კომიტეტი უნდა დარწმუნდეს, რომ ორივე უფლება დაცულია კვლევის გეგმაში შესაბამისი ღონისძიებების ასახვის გზით. ამასთან, გასათვალისწინებელია ამ უფლებების კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებიც.

მუხლი 37. გარემოებანი, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი

1. კვლევის არც ერთ ეტაპზე მკვლევარის მიერ კვლევის შედეგების შეფასებაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს ფინანსური, პიროვნული, აკადემიური, პოლიტიკური ან სხვა ინტერესები.

2. განაცხადში მკვლევარმა უნდა აღწეროს ინტერესთა კონფლიქტის გამომწვევი ყველა გარემოება.
3. კვლევის ეთიკის კომიტეტისთვის წარდგენილ განაცხადში დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი ყველა სახის ანაზღაურება და სხვა სახის წახალისება, რომელსაც სთავაზობენ მკვლევარებს და კვლევის მონაწილეებს. ასეთი ინფორმაცია საშუალებას მისცემს კვლევის ეთიკის კომიტეტს იმსჯელოს, რამდენად მისაღებია განზრახული ანაზღაურება და წახალისება.
4. კვლევის ეთიკის კომიტეტი უნდა დარწმუნდეს, რომ კვლევის მონაწილეთათვის შეთავაზებული ნებისმიერი ანაზღაურება და წახალისება კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ტვირთისა და უხერხულობის ადეკვატურია, მაგრამ არც ისე დიდი, რომ განაპირობოს მონაწილეთა დათანხმება რისკზე, რომელიც სხვა პირობებში მათთვის მიუღებელი იქნებოდა.
5. კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ფინანსური დანაკარგების ანაზღაურება არ მიიჩნევა არასასურველ ზეგავლენად, თუ ის არ წარმოადგენს კვლევის მონაწილის შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ან ერთადერთ წყაროს.
6. მკვლევარებმა დაწვრილებით უნდა აღწერონ ნებისმიერი ანაზღაურება ან წახალისება, რომელიც კვლევის მონაწილეებს მიეცემათ კვლევის ჩატარების სანაცვლოდ.
7. ნებისმიერი ანაზღაურების ან წახალისების შესახებ ინფორმაცია კვლევის ეთიკის კომიტეტს აძლევს საშუალებას განსაზღვროს, რამდენად დასაშვებია ასეთი ანაზღაურება ან წახალისება.

მუხლი 38. კვლევის ეთიკის კომიტეტის როლი კვლევის პროცესში

1. კვლევის ეთიკის კომიტეტმა თვალი უნდა მიადევნოს მოწონებული კვლევის პროექტების განხორციელების შესაბამისობას კვლევის ეთიკის სტანდარტებთან.
2. კვლევის ეთიკის კომიტეტმა კვლევის მიმდინარეობაზე მეთვალყურეობა უნდა განახორციელოს კვლევის ანგარიშების განხილვის საშუალებით. მათი რეგულარულად წარმოდგენის ვალდებულება (სულ მცირე, წელიწადში ერთხელ) ეკისრება მკვლევარს.

მუხლი 39. კვლევის ეთიკის კომიტეტის ინფორმირება

1. კვლევის მიმდინარეობისას კვლევის ეთიკის კომიტეტს კავშირი უნდა ჰქონდეს მის მიერ დამტკიცებულ კვლევის პროექტებთან, რაც, როგორც წესი, ხორციელდება მკვლევართა ჯგუფის მიერ მოწოდებული რეგულარული ანგარიშების მიმოხილვით.
2. ანგარიშების მიზანია, განისაზღვროს, ხომ არ არის აუცილებელი, უახლესი მონაცემების გათვალისწინებით, კვლევის გეგმის შეცვლა ან სულაც კვლევის შეწყვეტა. ანგარიშების მომოხილვისას ისიც დგინდება, ხომ არ არის აუცილებელი დამატებითი თანხმობის მიღება კვლევის მონაწილეებისგან (ან ნებართვის მიღება მათი წარმომადგენლებისგან), აგრეთვე, ხომ არ არის საჭირო თანხმობის ფორმის განახლება ახალი მონაწილეებისათვის.
3. კვლევის მსვლელობისას რაიმე გაუთვალისწინებელი მოვლენის განვითარებისას ან იმავე სფეროში ჩატარებული სხვა კვლევებით მიღებული ახალი მონაცემების დაგროვების შემთხვევაში, კვლევის ეთიკის კომიტეტმა უნდა გადაწყვიტოს, საჭიროა თუ არა კვლევის დიზაინის ცვლილება ან კვლევის შეწყვეტა.
4. აპლიკანტებმა კვლევის ეთიკის კომიტეტს უნდა აცნობონ კვლევის გეგმაში შესატანი ნებისმიერი ცვლილების, აგრეთვე, კვლევის ვადაზე ადრე შეწყვეტისა და მისი მიზეზების შესახებ. კვლევის ეთიკის კომიტეტს უნდა ეცნობოს კვლევის დაგეგმილ ვადაში დასრულების თაობაზეც.

მუხლი 40. ახალი ინფორმაცია და კვლევის მონაწილეთა დაცვა

1. კვლევის პროცესში განვითარებული გაუთვალისწინებელი მოვლენების ან ახალი სამეცნიერო ინფორმაციის მიღებისას კვლევის ეთიკის კომიტეტმა შეიძლება გადახედოს მოცემულ კვლევაზე მის მიერ ადრე გაცემულ დასკვნას.
2. კვლევის გეგმაში და/ან კვლევის ეთიკის კომიტეტის დასკვნაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლევის მონაწილეებს შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე.
3. ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც კვლევის ნებისმიერ ეტაპზე, აუცილებელია კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმის უფლების პატივისცემა. მონაწილეთათვის მისაწოდოებელი ინფორმაციის არსი და სიცხადე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა კვლევის ეთიკის კომიტეტი აუქმებს მის მიერ ადრე გაცემულ დადებით დასკვნას.

მუხლი 41. კვლევის ეთიკის კომიტეტის როლი კვლევის დასრულების შემდეგ

1. კვლევის დასრულების შემდეგ, კვლევის ეთიკის კომიტეტი განსაზღვრავს, თუ როგორ შესრულდა მკვლევარის მიერ კვლევის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები კვლევის მონაწილეების ან/და იმ ჯგუფების, ან საზოგადოების წინაშე, რომლებიც ჩართული იყვნენ კვლევაში.
2. ვალდებულებათა შორის უმნიშვნელოვანესია კვლევის შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა კვლევის მონაწილეებისათვის მათთვის გასაგები ფორმით. გარდა ამისა, მკვლევარი ვალდებულია, კვლევისას მიღებული ინფორმაცია მიაწოდოს კვლევის მონაწილეებს.
3. მკვლევარის ეთიკური ვალდებულებაა, უზრუნველყოს კვლევის შედეგებზე დაფუძნებული დასკვნების ხელმისაწვდომობა საზოგადოებისთვის, მიუკერძოებელი და ადეკვატური პუბლიკაციების გამოქვეყნების გზით.
4. კვლევის შედეგების არამართებული დამალვა არამეცნიერული და არაეთიკურია.

მუხლი 42. კვლევის შედეგების ხელმისაწვდომობა

1. კვლევის დასრულების შემდეგ, მკვლევარმა კვლევის ეთიკის კომიტეტს უნდა წარუდგინოს ანგარიში ან მის მიერ მიღებული შედეგების რეზიუმე. იმავდროულად, მკვლევარმა უნდა დაადასტუროს, რომ კვლევის შედეგებს, განაცხადში მითითების შესაბამისად, გამოაქვეყნებს სამეცნიერო ჟურნალში ან სხვა გზით გააცნობს საზოგადოებას.
2. უზრუნველყოფილი უნდა იყოს გასაგები ფორმით ჩამოყალიბებული კვლევის დასკვნების ხელმისაწვდომობა კვლევის ყველა მონაწილისთვის, ვისაც კი მათი გაცნობის სურვილი ექნება. ზემოხსენებული ინფორმაციის მიწოდებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს თავად მკვლევარის ინტერესებიც, მაგრამ ეს არ უნდა იქნეს გამოყენებული იმის გასამართლებლად, რომ კვლევის მონაწილეებს უარი ეთქვათ მათ კანონიერ უფლებაზე, გაეცნონ მათი მონაწილეობით ჩატარებული კვლევის შედეგებს.

3. კვლევის შედეგების გამოქვეყნება მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, ეს შედეგები ადასტურებს კვლევის ჰიპოთეზას („დადებითია“), უარყოფს კვლევის ჰიპოთეზას („უარყოფითია“), თუ არ იძლევა დასკვნის გამოტანის საშუალებას.
4. კვლევის დასრულების შემდეგ კვლევის შესახებ ანგარიში ან რეზიუმე უნდა წარედგინოს კვლევის ეთიკის კომიტეტს. კვლევის ვადაზე ადრე დასრულების შემთხვევაში, აგრეთვე უნდა იქნეს წარდგენილი ანგარიში, ვადაზე ადრე დასრულების მიზეზების მითითებით.
5. კვლევის შედეგები გონივრულ ვადაში უნდა მიეწოდოს დაინტერესებულ მხარეებს და უზრუნველყოფილი იქნეს კვლევის დასკვნების ხელმისაწვდომობა მონაწილეთათვის, რომლებიც ამას მოითხოვენ.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 43. სტანდარტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. წინამდებარე სტანდარტი ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივლისიდან.
2. კვლევის ეთიკის სტანდარტს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
3. კვლევის ეთიკის სტანდარტის მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა წარმოებს ამ მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი წესით.